მედიის განვითარების ფონდის და საქართველოს გაეროს ასოციაციის რეკომენდაციები საზოგადოებრივი მაუწყებლის 2015-2016 წლების პროგრამული პრიორიტეტებისთვის

ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვანი ინფორმირება ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ

მედიის განვითარების ფონდის მიერ ჩატარებული კვლევა[1], რომელიც 2014 წლის თებერვლიდან 2015 წლის თებერვლამდე პერიოდში ქართულენოვანი მედია საშუალებების მონიტორინგს ითვალისწინებდა, ბოლო დროს სხვადასხვა წყაროების მიერ ანტიდასავლური განწყობების გაღვივების ტენდენციას ცხადყოფს. ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და რესპიბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ ჩატარებული ბოლო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები კი უჩვენებს, რომ რესპონდენტთა ინფორმირებულობა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განსაკუთრებით დაბალია.

საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელსაც კანონმდებლობით[2] ევალება უმცირესობების ენებზე გადაცემების მომზადება, ასევე ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ მოქალაქეების სრულფასოვანი ინფორმირება, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება იმ საინფორმაციო ვაკუუმის შევსებაში, რომელიც სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში არის შექმნილი.

- **რეკომენდაცია:** მნიშვნელოვანია, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან ერთად, საზოგადოებრივი არხის სიგნალის გავრცელების პრობლემა გვარდება, რასაც მაუწყებელმა უმცირესობების ენებზე მომზადებული სათანადო პროგრამირებით უნდა უპასუხოს და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ კვალიფიციური საინფორმაციო გადაცემები მოამზადოს, რათა უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს ყველა მოქალაქის სათანადო ინფორმირება მიმდინარე პროცესების შესახებ.

---

[1] http://mdfgeorgia.ge/uploads/Antidasavluri-GEO-web.pdfhttp://mdfgeorgia.ge/uploads/Antidasavluri-GEO-web.pdf

[2] მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-16 მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი არხი ვალდებულია, თ) „პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება; მ) სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები. ნ) უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის, პოპულარიზაცია“.

მრავალფეროვნების გაშუქება

მედიის განვითარების ფონდის მონიტორინგის „სიძულვილის ენა და ქსენოფობია[3]“ (2014 წლის თებერვალი-2015 წლის თებერვალი) შედეგები ცხადყოფს, რომ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა თემების გაშუქების მხრივ ჟურნალისტრი კულტურა, ღირებულებები და ნორმები მკვეთრდად პოლარიზებულია. ერთი მხრივ, იკვეთება რადიკალური მედია, რომელიც თავად არის დისკრიმინაციის წყარო და პლატფორმა ექსტრემისტული ჯგუფების შეუწყნარებლობის ტირაჟრებისთვის, მეორე მხრივ, კი მედია, სადაც ქსენოფობია სარედაქციო პოლიტიკის რანგში აყვანილი არ არის, თუმცა უმცირესობათა საკითხების გაშუქებისას, პროფესიული სტანდარტების ცალკეულ დარღვევებს ვხვდებით, რაც ახალისებს შეწუყნარებლობას.

მონიტორინგის პერიოდში პროფესიული სტანდარტების დარღვევის ფაქტები საზოგადოებრივ მაუწყებლის ეთერშიც გამოვლინდა.

- *რეკომენდაციები:* მედიას შეუძლია არა მხოლოდ კონფლიქტები და ისეთი თემები გააშუქოს, რომელიც საზოგადოების დაყოფას უწყობს ხელს, არამედ ასახოს არსებული მრავალფეროვნება და ინკლუზიური მიდგომით შემოერთების პროცესს შეუწყოს ხელი. უმცირესობათა წარმომადგენლების თემების გაშუქება არა მხოლოდ ნეგატიურ მოვლენებთან - კონფლიქტები, ინციდენტები, სიძულვილის გამოვლინება და.აშ. უნდა ხდებოდეს, არამედ ყველა იმ საკითხთან მიმართებით, რაც საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, როგორც თანასწორისთვის საერთოა.
- მედია მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მზარდი თურქოფობიული და ისლამოფობიური განწყობების გამო, საჭიროა საზოგადოებისათვის კვალიფიციური ინფორმაციის მიწოდება საქართველოს მოქალაქე მუსლიმების, ასევე მეზობელი თურქეთის სახელმწიფოს, რომელიც ხშირად სწორედ ქართველ მუსლიმებთან არის გაიგივებული, შესახებ, რათა არ მოხდეს მცდარი წარმოდგენების ტირაჟირება.
- ინკლუზიური გაშუქების მიდგომა არ გულისხმობს მხოლოდ უმცირესობათა დღესასწაულების ერთჯერად, იზოლირებულ გაშუქებას, არამედ უმცირესობების წარმომადგენელთა შეხედულებების ასახვას მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რათა ერთი მხრივ, მედიამ საჯარო ფორუმი საზოგადოების ყველა ჯგუფის წარმომადგენლისთვის უზრუნველყოს, მეორე მხრივ, საზოგადოებას აჩვენოს ის საერთო, რაც განსხვავებულიიდენტობის მქონე ადამიანებს შეიძლება აკავშირებდეთ. საზოგადოებრივი მაუწყებელის მიერ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის საჯარო ფორუმის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია, რათა არხმა კანონმდებლობით მასზე დაკისრებული შინაარსობრივი ვალდებულებები შეასრულოს და ინკლუზიური პროგრამირების გზით სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს შეუწყოს ხელი.

მედიის ანგარიშვალდებულება და თვითრეგულირება.

მრავალფეროვნების საკითხებზე გაშუქების ხარისხის ამაღლება მედიის ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანი თვითრეგულირების მექანიზმების

[3] http://mdfgeorgia.ge/uploads//library/Hate%20Speech-2015-GEO-web.pdf

დამკვიდრებაზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს საკუთარი ეთიკის კოდექსი აქვს მიღებული, როგორც მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, ასევე შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი გასაჩივრების მექანიზმის არაეფექტიანობის გამო, ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს და ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერის დაცვას ჰომოფობიური[4], ქსენოფობიური და არმენოფობიული[5] განცხადებებისგან.

- **რეკომენდაციები:** სიძულვილის ენასთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, მიზანშეწონილია, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადახედოს თვითრეგულირების ორგანოში მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დარღვევის ფაქტებზე საქმეების განხილვის პრაქტიკას და ამ თვალსაზრისით სამეურვეო საბჭოს, როგორც სააპელაციო ორგანოს, პასუხისმგებლობაც გაიაზროს. გამოხატვის თავისუფლების კანონმდებლობით განსხვავებული იდენტობის ადამიანების მიმართ დისკრიმინაციული გამოხატვისა და ეთიკური სტანდარტების დარღვევის გამართლება, არ შეესაბამება მაღალპროფესიულ სტანდარტებსა და საუკეთესო ჟურნალისტურ პრაქტიკას, რომლის ავანგარდშიც საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იყოს.
- მიზანშეწონილია, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის დაცვა ჟურნალისტებისათვის, ასევე გარე სტუდიებისა და მოწვეული კომენტატორებისთვის კონტრაქტით გახდეს სავალდებულო.
- მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ჩაატაროს საინფორმაციო კამპანია საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის ნორმებისა და თვითრეგულირების ორგანოში გასაჩივრების მექანიზმების შესახებ, რაც ერთი მხრივ, მოქალაქეთა ინფორმირებულობას და მეორე მხრივ, მაუწყებლის ანგარიშვალდებულებას გაზრდის.

[4] http://mdfgeorgia.ge/geo/view_news/27
http://mdfgeorgia.ge/geo/view_statements/79
[5] http://mdfgeorgia.ge/geo/view_statements/185